

შპს “ფარმექსიმი”
ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	9
1 ზოგადი ინფორმაცია.....	10
2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	10
3 ფული და ფულის ეკვივალენტები	14
4 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანო მოთხოვნები	14
5 კაპიტალი.....	14
6 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	14
7 წმინდა მოგება/ზარალი სავალუტრო ოპერაციებიდან.....	14
8 წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი).....	15
9 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	15

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ფარმექსიმი“-ს ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ფარმექსიმი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუვითითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

22 სექტემბერი 2020

შპს „ინოქსი“

ირაკლი ჭილაძე _____
გარიგების პარტნიორი

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

22 სექტემბერი 2020

შპს „ინოქსი“

ირაკლი ჭილაძე

გარიგების პარტნიორი



შპს „ფარმექსიმი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		3,062	2,944
არამატერიალური აქტივები		750	750
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,812	3,694
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	466,312	783,123
საეაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	27,942,558	20,221,880
მარაგები		-	1,611,217
გადახდილი ავანსები		341,185	649,372
საგადასახადო აქტივები		-	5,852
სულ მოკლევადიანი აქტივები		28,750,055	23,271,444
მთლიანი აქტივები		28,753,867	23,275,138
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		12,411,222	8,854,414
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		12,917,053	10,624,163
სულ კაპიტალი	6	25,328,375	19,478,677
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება		4,845	-
საეაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3,420,647	3,796,461
სულ ვალდებულებები		3,425,492	3,796,461
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		28,753,867	23,275,138

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 22 სექტემბერს.

გიორგი ლაშხი

მთავარი ბუღალტერი

დირექტორი

ირინე გამცემლიძე

შპს „ფარმექსიმი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		3,062	2,944
არამატერიალური აქტივები		750	750
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,812	3,694
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	4	466,312	783,123
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	27,942,558	20,221,880
მარაგები		-	1,611,217
გადახდილი ავანსები		341,185	649,372
საგადასახადო აქტივები		-	5,852
სულ მოკლევადიანი აქტივები		28,750,055	23,271,444
მთლიანი აქტივები		28,753,867	23,275,138
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		12,411,222	8,854,414
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		12,917,053	10,624,163
სულ კაპიტალი	6	25,328,375	19,478,677
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება		4,845	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		3,420,647	3,796,461
სულ ვალდებულებები		3,425,492	3,796,461
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		28,753,867	23,275,138

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 22 სექტემბერს.

 

გიორგი ლაშვი

მთავარი ბუღალტერი

დირექტორი

ირინე გამცემლიძე

შპს „ფარმექსიმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ამონაგები		26,918,798	26,187,728
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(12,332,556)	(12,106,485)
საერთო მოგება		14,586,242	14,081,244
დასაქმებულთა ანაზღაურება		(867,311)	(398,482)
ცვეთა და ამორტიზაცია		-	(368)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(301,520)	(287,062)
საკონსულტაციო ხარჯი		(8,100)	(45,857)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		(35,400)	(35,400)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,438,710)	(97,794)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,651,041)	(864,962)
საოპერაციო მოგება		11,935,201	13,216,281
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	7	2,019,322	(2,362,226)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	8	(1,037,469)	(229,892)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		12,917,054	10,624,163
მოგების გადასახადი		-	-
მოგება		12,917,054	10,624,163
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		12,917,054	10,624,163

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 22 სექტემბერს.

გიორგი ლაშვი

მთავარი ბუღალტერი

დირექტორი

ირინე გამცემლიძე

შპს „ფარმექსიმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ამონაგები		26,918,798	26,187,728
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(12,332,556)	(12,106,485)
საერთო მოგება		14,586,242	14,081,244
დასაქმებულთა ანაზღაურება		(867,311)	(398,482)
ცვეთა და ამორტიზაცია		-	(368)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(301,520)	(287,062)
საკონსულტაციო ხარჯი		(8,100)	(45,857)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		(35,400)	(35,400)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,438,710)	(97,794)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,651,041)	(864,962)
საოპერაციო მოგება		11,935,201	13,216,281
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	7	2,019,322	(2,362,226)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	8	(1,037,469)	(229,892)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		12,917,054	10,624,163
მოგების გადასახადი		-	-
მოგება		12,917,054	10,624,163
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		12,917,054	10,624,163

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 22 სექტემბერს.



გიორგი ლაშვილი

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

ირინე გამცემლიძე

შპს „ფარმექსიმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		12,917,053	10,624,163
კორექტირებები:			
უცხოურ ვალუტაში ოპერ. მიღებული მოგება/ზარალი		(2,019,322)	2,362,226
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
ცვლილება მარაგებში		1,611,217	(1,611,217)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		(5,069,846)	(6,807,580)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		308,187	1,607,041
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		(312,601)	2,251,833
ცვლილება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში		4,845	-
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში		5,852	(5,852)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		7,445,385	8,420,613
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		7,445,385	8,420,613
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(118)	(3,312)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(750)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(118)	(4,062)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(7,067,355)	(6,700,000)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(7,067,355)	(6,700,000)
სავალუტო კურსის ეფექტი		(694,723)	(945,869)
ნაშთი წლის დასაწყისში		783,123	12,441
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		377,912	1,716,551
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		466,312	783,123

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 22 სექტემბერს.

გეორგი ლაშხი

მთავარი ბუღალტერი

დირექტორი

ირინე გამცემლიძე

შპს „ფარმექსიმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		12,917,053	10,624,163
კორექტირებები:			
უცხოურ ვალუტაში ოპერ. მიღებული მოგება/ზარალი		(2,019,322)	2,362,226
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
ცვლილება მარაგებში		1,611,217	(1,611,217)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში		(5,069,846)	(6,807,580)
ცვლილება გადახდილ ავანსებში		308,187	1,607,041
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში		(312,601)	2,251,833
ცვლილება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში		4,845	-
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში		5,852	(5,852)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		7,445,385	8,420,613
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		7,445,385	8,420,613
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(118)	(3,312)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(750)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		(118)	(4,062)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(7,067,355)	(6,700,000)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		(7,067,355)	(6,700,000)
სავალუტო კურსის ეფექტი		(694,723)	(945,869)
ნაშთი წლის დასაწყისში		783,123	12,441
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		377,912	1,716,551
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		466,312	783,123

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 22 სექტემბერს.



გიორგი ლაშვი

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

ირინე გამცემლიძე

შპს „ფარმექსიმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	100	15,554,850	15,554,950
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	10,624,163	10,624,163
გადახდილი დივიდენდები	-	(6,700,436)	(6,700,436)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	100	19,478,577	19,478,677
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	12,917,053	12,917,053
გადახდილი დივიდენდები	-	(7,067,355)	(7,067,355)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	100	25,328,275	25,328,375

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 22 სექტემბერს.

 გიორგი ლაშხი

 მთავარი ბუღალტერი

 დირექტორი

 ირინე გამცემლიძე

შპს „ფარმექსიმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწყისდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	100	15,554,850	15,554,950
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	10,624,163	10,624,163
გადახდილი დივიდენდები	-	(6,700,436)	(6,700,436)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	100	19,478,577	19,478,677
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	12,917,053	12,917,053
გადახდილი დივიდენდები	-	(7,067,355)	(7,067,355)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	100	25,328,275	25,328,375

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2020 წლის 22 სექტემბერს.



გიორგი ლაშვილი

დირექტორი



მთავარი ბუღალტერი

ირინე გამცემლიძე

შპს „ფარმექსიმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „ფარმექსიმი“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2015 წლის 25 დეკემბერს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ანანურის ქ., N 4.

კომპანიის წილი დაფუძნებისას გასაზღვრულია შემდეგნაირად:

ალექსანდრ მინინი	50%
იგორ კუზნეცოვი	50%

2018 წლის 21 მარტიდან 100%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სონიქს ჰოლდინგი. დაფუძნებიდან კომპანიის დირექტორია გიორგი ლაშხი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს 1 ადმინისტრაციულ ოფისს.

შპს ფარმექსიმს 2016 წლის იანვარში მინიჭებული აქვს სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი. რაც ათავისუფლებს მოგების გადასახადისგან.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა არ შეცვლილა და შედგება 2 თანამშრომლისგან.

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შპს „ფარმექსიმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს	2.86	3.21
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს	2.68	3.07

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

	წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 – 16

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

შპს „ფარმექსიმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფული და ფულის ეკვივალენტები.

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება გასაყიდად გამიზნული სატრანსპორტო საშუალებებისგან.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდურ მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

შპს „ფარმექსიმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

საგადასახადო ვალდებულებები/აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იხეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იხეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

შპს ფარმექსიმს 2016 წლის იანვარში მინიჭებული აქვს სპეციალური სავაჭრო კომპანიის სტატუსი. რაც ათავისუფლებს მოგების გადასახადისგან.

მისი ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო პროდუქციის რეექსპორტი, რაც გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოძინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

შპს „ფარმექსიმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	26,704	56,713
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	56,889	65,736
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	382,719	660,674
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	466,312	783,123

4 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანო მოთხოვნები

	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	27,942,558	20,221,880
გადახდილი ავანსები	341,185	649,372
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	28,283,743	20,871,252

5 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 100 ლარს, 2019 წლის 1 იანვრისთვის გაუნაწილებელი მოგება იყო 19,478,577 ლარი, 2019 წლის განმავლობაში კომპანიის საანგარიშგებო პერიოდის სრულმა შემოსავალმა შეადგინა 12,917,053 ლარი. 2019 წელს გაცემულია დივიდენდი 7,067,355 ლარის ოდენობით.

6 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
ბანკის ხარჯი	39,629	35,397
მივლინების ხარჯი	2,463	1,350
საგადასახადო ხარჯი	1,754	3,156
საკანცელარიო ხარჯი	15	1,504
სხვა საერთო ხარჯი	1,394,849	56,387
სულ	1,438,710	97,794

სხვა საერთო ხარჯი მოიცავს დებიტორული დავალიანების ჩამოწერის ხარჯს - 1,391,538 ლარს.

7 წმინდა მოგება/ზარალი სავალუტრო ოპერაციებიდან

	2019	2018
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	2,947,555	468,607
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(928,233)	(2,830,833)
წმინდა	2,019,322	(2,362,226)

შპს „ფარმექსიმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

8 წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

	2019	2018
ზარალი კრედიტ ნოტიდან	(1,037,802)	(229,892)
მოგება კრედიტ ნოტიდან	131	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	202	-
წმინდა	(1,037,469)	(229,892)

9 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიას არ ჰყავს დაკავშირებული მხარეები, შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციები და ნაშთები გამჟღავნებული.

ხელმძღვანელი რგოლის ანაზღაურებამ 2019 წლის მდგომარეობით შეადგინა 865,857 ლარი, (2018 – 368,525 ლარი)

10 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენები

კომპანიაში საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვების თარიღამდე მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა.

წარმომადგენლობა

წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფარმექსიმი“-ს მიერ, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

22 სექტემბერი 2020 წელი

გიორგი ლაშხი



დირექტორი

შპს „ფარმექსიმი“

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება “ფარმექსიმი“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წელი

შინაარსი

1. საქმიანობის მიმოხილვა	4
2. ჩატარებული კვლევები	5
3. ფინანსური ინფორმაცია	5
4. ფინანსური რისკების მართვა	9

წარმომადგენლობა

წინამდებარე „მმართველობის ანგარიშგება“ მომზადებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ფარმექსიმი“-ს მიერ, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე.

22 სექტემბერი 2020 წელი

გიორგი ლაშხი

დირექტორი

შპს „ფარმექსიმი“

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ფარმექსიმი“ ბაზარზე ოპერირებს 2015 წლიდან. მის საქმიანობას წარმოადგენს ფარმაცევტული პროდუქციით საერთაშორისო ვაჭრობა, კერძოდ, პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნებში სპეციალიზებული შესყიდვების და ლოჯისტიკის მომსახურების შეთავაზება მსხვილი და საშუალო საბითუმო კომპანიებისათვის. ძირითად ბაზრად იდენტიფიცირებულია რუსეთი და ყაზახეთი, სადაც არსებობს სახელმწიფო სამედიცინო წამლებით უზრუნველყოფის პროგრამები. შესაბამისად, განხორციელდა ამ პროგრამებში მონაწილე მსხვილ კერძო სადისტრიბუციო კომპანიებთან მოლაპარაკებები. ფარმექსიმი თავის კლიენტებს სთავაზობს ეფექტურ შესყიდვების სისტემას, რაც მოიცავს კონკრეტული მახასიათებლების პროდუქციის მოძიებას საერთაშორისო ბაზარზე, მოლაპარაკების წარმართვას პროდუქციის წარმოებაზე მოთხოვნილი პარამეტრების მიხედვით, შეკვეთის განთავსებას, დადგენილი გრაფიკის შესაბამისად წარმოების და ხარისხის კონტროლს, შესყიდვას და წინასწარ შეთანხმებული მკაცრი გრაფიკის მიხედვით პროდუქციის მიწოდებას საერთაშორისო ხარისხის სტანდარტების დაცვით.

ამ ეტაპზე კომპანია ფლობს ფარმაცევტული პროდუქციის ფართო მომწოდებლების (მწარმოებლების) ქსელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. აგრეთვე, კომპანიას ჰყავს სანდო და საიმედო მყიდველი პარტნიორები რუსეთში და ყაზახეთში, რომლებიც ყოველ წელს წარადგენენ შესყიდვების ნომენკლატურას და სარგებლობენ კომპანიის სერვისებით. კომპანიის დირექტორს აქვს გამოცდილება ფარმაცევტულ ინდუსტრიაში, კომპეტენტურია, ფლობს შესაბამის კავშირებს, რაც ხელს უწყობს კომპანიის მომდევნო განვითარებას და ახალი კლიენტების მოძიებას.

კომპანია ფუნქციონირებს იჯარით აღებული ერთი ადმინისტრაციული ოფისით, რომელიც მდებარეობს საქართველო, ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ანანურის ქ., N 4.

2019 წელს კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო ოდენობა განისაზღვრა 2 საშტატო ერთეულით.

შპს ფარმექსიმი - ძირითადი მაჩვენებლები

წლიური შედეგები	2019	2018	ცვლ. (%)
შემოსავალი რეალიზაციიდან	26,918,798	26,187,728	2.79%
საერთო მოგება	14,586,242	14,081,244	3.59%
წლის მოგება	12,917,053	10,624,163	21.58%
აქტივები და ვალდებულებები	2019	2018	ცვლ. (%)
სულ აქტივები	28,753,867	23,275,138	23.54%
სულ ვალდებულებები	3,425,492	3,796,461	-9.77%
სულ კაპიტალი	25,328,375	19,478,677	30.03%
დასაქმებულთა რაოდენობა	2	2	0%

კომპანიის მიმოხილვა და განვითარების ისტორია

შპს „ფარმექსიმი“ ბაზარზე ოპერირებს 2015 წლიდან. მის საქმიანობას წარმოადგენს ფარმაცევტული პროდუქციით საერთაშორისო ვაჭრობა.

კომპანია დაარსების დღიდან ყოველწლიურად ვითარდება და იზრდება, ორიენტირებულია მედიკამენტების ასორტიმენტის ზრდასა და ბიზნესის განვითარებაზე.

ბიზნესი და ოპერაციები

კომპანია ფლობს ფარმაცევტული პროდუქციის ფართო მომწოდებლების (მწარმოებლების) ქსელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. აგრეთვე, კომპანიას ჰყავს სანდო და საიმედო მყიდველი პარტნიორები რუსეთში და ყაზახეთში, რომლებიც ყოველ წელს წარადგენენ შესყიდვების ნომენკლატურას და სარგებლობენ კომპანიის სერვისებით. კომპანიის დირექტორს აქვს გამოცდილება ფარმაცევტულ ინდუსტრიაში, კომპეტენტურია, ფლობს შესაბამის კავშირებს, რაც ხელს უწყობს კომპანიის მომდევნო განვითარებას და ახალი კლიენტების მოძიებას.

მედიკამენტების გასაყიდი ფასი ფორმირდება დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლებისა და კონკურენტული გარემოებების გათვალისწინებით.

განვითარების სტრატეგია

2020 წლის დასაწყისში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ COVID-19 კორონავირუსის გამოვლენა პანდემიად გამოაცხადა. 2020 წლის მარტში, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ყველა კომერციული ბიზნესის შეჩერების შესახებ, გარკვეული გამონაკლისების გარდა. თუმცა აღნიშნულ ფაქტს არსებითად უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის საქმიანობაზე - პირიქით, 2020 წლის დასაწყისიდან კომპანია აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს უცხოელ პოტენციურ პარტნიორებთან, რათა გაზარდოს საკთარი ბიზნესის არეალი.

2. ჩატარებული კვლევები

კომპანია ყოველწლიურად ატარებს ბაზარზე არსებული მდგომარეობის კვლევას, რაც კომპანიას ხელს უწყობს ახალი პარტნიორების მოძიებაში და სახსრების მეტად ეფექტიანად ხარჯვაში.

3. ფინანსური ინფორმაცია

შპს „ფარმექსიმი“ 2019 წელს უკვე მეორედ წარადგენს მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განკუთვნილი ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ელემენტების მიმოხილვა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2019	31.12.2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	3,062	2,944
არამატერიალური აქტივები	750	750
სულ გრძელვადიანი აქტივები	3,812	3,694
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	466,312	783,123
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	27,942,558	20,221,880
მარაგები	-	1,611,217
გადახდილი ავანსები	341,185	649,372
საგადასახადო აქტივები	-	5,852
სულ მოკლევადიანი აქტივები	28,750,055	23,271,444
მთლიანი აქტივები	28,753,867	23,275,138
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	100	100
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	12,411,222	8,854,414
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	12,917,053	10,624,163
სულ კაპიტალი	25,328,375	19,478,677
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
საგადასახადო ვალდებულება	4,845	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	3,420,647	3,796,461
სულ ვალდებულებები	3,425,492	3,796,461
მთლიანი ვალდებულებები	3,425,492	3,796,461
მთლიანი კაპიტალი დავალდებულებები	28,753,867	23,275,138

კომპანიის აქტივები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მთლიანმა აქტივებმა **28,753,867** ლარი შეადგინა, წინა წელს ეს მაჩვენებელი **23,275,138** ლარი იყო. აქტივების ზრდა განპირობებული იყო მედიკამენტების რეალიზაციის ზრდით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2019 წელს, წინა წელთან შედარებით, კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები შემცირდა, რაც ნიშნავს იმას, რომ 2019 წელს კომპანიამ დაფარა იმაზე მეტი ვალდებულება, ვიდრე აიღო.

კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებულმა მოგებამ შეადგენდა **25,328,275** ლარი, რაც წინა წელთან შედარებით დაგროვილი მოგების 6 მილიონი ლარით ზრდას ნიშნავს.

მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ამონაგები		26,918,798	26,187,728
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(12,332,556)	(12,106,485)
საერთო მოგება		14,586,242	14,081,244
დასაქმებულთა ანაზღაურება		(867,311)	(398,482)
ცვეთა და ამორტიზაცია		-	(368)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(301,520)	(287,062)
საკონსულტაციო ხარჯი		(8,100)	(45,857)
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი		(35,400)	(35,400)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,438,710)	(97,794)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,651,041)	(864,962)
საოპერაციო მოგება		11,935,201	13,216,281
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	7	2,019,322	(2,362,226)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	8	(1,037,469)	(229,892)
მოგება მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		12,917,054	10,624,163
მოგების გადასახადი		-	-
მოგება		12,917,054	10,624,163
სხვა სრული შემოსავალი		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		12,917,054	10,624,163

2019 წელს კომპანიის შემოსავლებმა 27 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 900 ათასი ლარით ზრდას გულისხმობს.

ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს მედიკამენტების შესყიდვისა და ტრანსპორტირების დანახარჯები.

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
საწყისი ნაშთი 2018 წლის 1 იანვარს	100	15,554,850	15,554,950
კაპიტალის ზრდა/შემცირება		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		10,624,163	10,624,163
გადახდილი დივიდენდები		(6,700,436)	(6,700,436)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	100	19,478,577	19,478,677
კაპიტალის ზრდა/შემცირება		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		12,917,053	12,917,053
გადახდილი დივიდენდები		(7,067,355)	(7,067,355)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	100	25,328,275	25,328,375

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	12,917,053	10,624,163
კორექტირებები:		
უცხოურ ვალუტაში ოპერ. მიღებული მოგება/ზარალი	(2,019,322)	2,362,226
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:		
ცვლილება მარაგებში	1,611,217	(1,611,217)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან მოთხოვნებში	(5,069,846)	(6,807,580)
ცვლილება გადახდილ ავანსებში	308,187	1,607,041
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოკლევადიან ვალდებულებებში	(312,601)	2,251,833
ცვლილება სხვა მიმდინარე ვალდებულებებში	4,845	-
ცვლილება სხვა მიმდინარე აქტივებში	5,852	(5,852)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	7,445,385	8,420,613
მოგების გადასახადი	-	-
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	7,445,385	8,420,613
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(118)	(3,312)
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(750)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(118)	(4,062)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(7,067,355)	(6,700,000)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(7,067,355)	(6,700,000)
სავალუტო კურსის ეფექტი	(694,723)	(945,869)
ნაშთი წლის დასაწყისში	783,123	12,441
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში	377,912	1,716,551
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	466,312	783,123

4. ფინანსური რისკების მართვა

საბაზრო რისკი

კომპანია დგას სავალუტო რისკების წინაშე, რადგანაც წარმოადგენს იმპორტიორ კომპანიას და საქონლის შეძენა ხდება უცხოურ ვალუტაში.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. ამ რისკის ეფექტი წარმოიქმნება სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტებისაგან, მაგალითად მოთხოვნებისაგან.

ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისათვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებთან მიმართებაში უმნიშვნელოა.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდურობის აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალს და აკუმულირებულ მოგებას.

კომპანიის ხელმძღვანელობა აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიმღება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა.